პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (9364) | ხუთშაბათი, 20 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიის კანონია

მთელი იმ ძვირფასი კაპიტალებიდან, რომლებიც ქვეყნად მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ ადამიანები. მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი კანონია. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელიც დიდმა სტალინმა აღმოაჩინა, ემყარება მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფას უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

ადამიანებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი ყურადღება ჩვენი ქვეყნის მშრომელების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისადმი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისშემდგომ წლებში, მიუხედავად ომის შედეგად გამოწვეული უდიდესი სიძნელეებისა, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ იქნა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელმაც გუშინ დამთავრა მუშაობა, მიიღო კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის ახალ ბიუჯეტში ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. საქართველოს სსრ ახალი, 1953 წლის ბიუჯეტის 64 პროცენტი ხმარდება სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით წელს გათვალისწინებული ხარჯები მევრად აღემატება შარშან გაწეულ ხარჯებს. საკმარისია ითქვას, რომ 1953 წლის ბიუჯეტით განათლების ღონისძიებებზე დაიხარჯება 48 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წელს დაიხარჯა. მარტო 713.243 ათასი მანეთი მოხმარდება საყოველთაო განათლების, ბავშვთა აღზრდისა და მოზრდილთა სწავლების ღონისძიებებს.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მასების კომუნისტურად აღზრდას. ამ საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში ემსახურება მარტო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 624 მასობრივი ბიბლიოთეკა, 103 კლუბი და კულტურის სახლი, 441 ქოხსამკითხველო და 1.029 სასოფლო კლუბი, რომელთა შენახვაზეც ბიუჯეტით მიმდინარე წელს 49 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ხალხის სამსახურშია ჩაყენებული შუადამ მზარდი საბჭოთა მეცნიერება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და დახმარების მეოხებით სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებმა, ამ დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერულმა კადრებმა. მათი მუშაობის, საერთოდ რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის წელსაც გათვალისწინებულია დიდი ასიგნებანი რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტით. იგი 104,9 მილიონ მანეთს აღწევს, ნაცვლად 1946 წელს დახარჯული 7,4 მილიონი მანეთისა. ჩვენი მეცნიერები ჯერ კიდევ ვალში არიან საშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე. ისინი მოვალენი არიან კომუნისტური პარტიის მამობრივ ზრუნვას უპასუხონ მძლავრი შემოქმედებითი შრომით ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მეცნიერული მუშაობის დარგში, მუდამ იდგნენ საბჭოთა მოწინავე მეცნიერების დიადი არმიის რიგებში, მეცნიერებისა, რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულობანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შექმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულობანი.

საბჭოთა ადამიანი, შრომის ფრონტის რა უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი, ყოველდღიურად, ყოველ საათს გრძნობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას. განა ამ ზრუნვის ნათელი დადასტურება არ არის ის, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში სახალხო ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკულტურის ღონისძიებებზე რესპუბლიკაში დაიხარჯება 473,1 მილიონი მანეთი! ეს ხარჯები 44,7 მილიონი მანეთით აღემატება 1952 წელს ამავე მიზნით გაწეულ ხარჯებს.

ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებული ხარჯების საგრძნობი ნაწილი მოხმარდება საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმებისა და საბავშვო ბაგების ქსელის შემდგომ გაფართოებას. წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს მარტო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხარჯზე ათი ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე მიიღებს. ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელს — მუშას, კოლმეურნეს, მოსამსახურეს — ეძლევა შესაძლებლობა გაემგზავროს კურორტებზე და აღიდგინოს თავისი ენერგია საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ყოველწლიურად მორიგი შვებულების პერიოდში დასვენება ტრადიციად იქცა ჩვენს სამშობლოში და იგი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შექმნილი აქვთ საუკეთესო პირობები იმისათვის, რომ სასიამოვნოდ და სასარგებლოდ გაატარონ საზაფხულო დასვენება, აღიდგინონ და განმტკიცონ ჯანმრთელობა. წელს მასობრივად ეწყობოდა და ახლაც ეწყობა გასვლა ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში, პარკებსა და ბაღებში გასეირნება, სტადიონებზე წასვლა, თევზის ჭერა, ნადირობა — ყოველივე ეს მუშებისა და მოსამსახურეების საუცხოო დასვენების საშუალებაა. ასეთ ბედნიერებაზე ოცნებაც არ შეუძლიათ კაპიტალის ქვეყნების მშრომელებს, რომლებსაც კაპიტალისტები ულმობელ ექსპლოატაციას უწევენ.

მომდინარე წელს უდიდესი ღონისძიებანი ხორციელდება სახალხო მოხმარებას საქონლით მშრომელთა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. პარტია და მთავრობა მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვენ მუშაობის გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად, დასახული გეგმების ვადაზე და გადაჭარბებით შესრულებას. ამასთან საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ საქონელბრუნვის შემდგომი გაძლიერებისა და ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობას მოწყობისათვის.

საბჭოთა ადამიანებისათვის კომუნისტური პარტიის მამობრივ ზრუნვას საქართველოს მშრომელები უპასუხებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის თავდადებული ბრძოლით, პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების სახელოვნად შესრულებით, კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებათა მოსაპოვებლად მთელი ძალების მობილიზაციით.

საკოლმეურნეო მინდვრებში

აღებულია 360.862 ჰექტარი კულტურული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობებით, 15 აგვისტისათვის მთელ რესპუბლიკაში აღებული იყო 360.862 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, გეგმის 75,4 პროცენტი. აქედან კომბაინებით მომკილია 263.626 ჰექტარი, გეგმის 87,9 პროცენტი.

ცალკეული რაიონების მიხედვით მოსავლის აღების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ახალქალაქის რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება გეგმა შესრულებულია 7,8 პროცენტით, ახალციხის — 87,8, ადიგენის — 49,1, ასპინძის — 40,6, ბაშურის — 94,2, ქარელის — 91, გორის — 84,6, კასპის—82,8, ბორჯომის — 17,6, წალკის — 0,7, დუშეთის—49,3, თეთრი წყაროს — 70,7, თიანეთის—26,9, ახმეტის — 95,8, გარეუბნის — 98,3, მცხეთის — 75,8, მარნეულის — 97,6, დმანისის რაიონში — 32,4, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 52,9 პროცენტით და სხვ. გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, ბოლნისის, საგარეჯოს რაიონებმა პურეულის მოსავლის აღება უკვე დაამთავრეს.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1953 წლის 16 აგვისტისათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 73,5 პროცენტით, აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 33,8 პროცენტით.

ცალკე რაიონების მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს აგვისტოს დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 29,8 პროცენტით, ქობულეთის — 35,1, ქედის — 20, გალის — 37,9, ოჩამჩირის — 25,9, გულრიფშის — 15,3, სუხუმის—20,6, გუდაუთის — 20,7, მახარაძის — 31,7, ჩოხატაურის — 40,3, ლანჩხუთის — 33,4, სამტრედიის — 40,2, წულუკიძის — 20,2, ქუთაისის—39,8, წყალტუბოს — 11,4, ტყიბულის — 30,4, ცხაკაიას — 33, აბაშის — 27,3, გეგეჭკორის — 38,5, ზუგდიდის — 47,3, წალენჯიხის — 39,2, ჩხოროწყუს — 32,5, ხობის — 35,5, თერჯოლის — 28,7, ხოლო ზესტაფონის რაიონს 6 პროცენტით.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: შემოსავლის ნაწილში — 2.692.716 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში — 2.692.716 ათასი მანეთი, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1954 წლის 1 იანვრისათვის დამტკიცდეს 80.781 ათასი მანეთი.

2. სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვროს 747.384 ათასი მანეთის ოდენობით და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან — 546.161 ათასი მანეთი, სულ 1.293.545 ათასი მანეთი საერთო თანხით, რაც ნიშნავს 155.185 ათასი მანეთით გადიდებას 1952 წელთან შედარებით.

3. განისაზღვროს საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1.721.186 ათასი მანეთი საერთო თანხით, რაც ნიშნავს 102.586 ათასი მანეთით გადიდებას 1952 წელთან შედარებით.

ხარჯები ცალკეული სახის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაწესდეს შემდეგი ოდენობით:

ა) განათლებისა და კულტურის დარგში — საყოველთაო სწავლების დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლებისათვის; უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის; საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა, კურსებისა და მუშათა, კოლმეურნეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებებისათვის; ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის 1.076.458 ათასი მანეთი საერთო თანხით, რაც ნიშნავს 1952 წელთან შედარებით 58.325 ათასი მანეთით გადიდებას;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის დარგში — საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გაწევის სხვა დაწესებულებებისათვის; სპორტისა და ფიზკულტურის ღონისძიებებისათვის — 473.101 ათასი მანეთი საერთო თანხით, რაც 1952 წელთან შედარებით 44.683 ათასი მანეთით გადიდებას ნიშნავს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების სამედიცინო ხელსაწყოებით, თეთრეულითა და სამეურნეო ინვენტარით უკეთ უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვის 1953 წლის ხარჯების შედგენილობაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გათვალისწინებული დამატებითი ასიგნებანი 8.259 ათასი მანეთი თანხით, მათ შორის: მედიკამენტებზე ხარჯების გასადიდებლად 200 ათასი მანეთი, საავადმყოფოებისათვის თეთრეულის დამატებით შესაძენად — 3.300 ათასი მანეთი, სამედიცინო და სამეურნეო ინვენტარის შესაძენად — 3.000 ათასი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა კაპიტალური რემონტისათვის—750 ათასი მანეთი;

გ) სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის დარგში — ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად, შრომის ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად, ინვალიდთა სახლების შესანახად; დროებით შრომისუნარმოკლებულ მუშა-მოსამსახურეთათვის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის კვებაზე ქალებისათვის დახმარების მისაცემად — 171.627 ათასი მანეთი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროების გარდაქმნის, საოლქო დაყოფის გაუქმებისა და სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად გატარებული სხვა ღონისძიებების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება 27.927 ათასი მანეთის ოდენობით 1952 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ ხარჯებთან შედარებით.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1953 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 2.265.152 ათასი მანეთი, გასავალი — 1.177.307 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან — 1.087.845 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1954 წლის 1 იანვრისათვის — 29.842 ათასი მანეთი.

6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1953 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1954 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	160.342	119.988	—	160.342	4.809
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	121.107	84.909	—	121.107	3.633
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	63.818	25.611	32.684	63.818	1.914
4. ქალაქი თბილისი	317.479	143.348	—	317.479	6.350
5. ქალაქი ქუთაისი	56.847	32.059	—	56.847	1.136
6. ქალაქი ფოთი	19.728	13.162	—	19.728	591
7. ქალაქი ჭიათურა	10.985	7.347	—	10.985	218
8. ქალაქი რუსთავი	12.153	5.884	—	12.153	242
9. ქალაქი გორი	20.195	13.087	—	20.195	404
10. აბაშის რაიონი	11.689	4.053	6.420	11.689	542
11. ადიგენის რაიონი	8.567	1.243	6.367	8.567	386
12. ამბროლაურის რაიონი	12.038	3.437	5.707	12.038	577
13. ასპინძის რაიონი	6.713	675	5.385	6.713	304
14. ახალქალაქის რაიონი	18.121	3.880	10.608	18.121	814
15. ახალციხის რაიონი	17.181	12.886	—	17.181	559
16. ახმეტის რაიონი	10.677	3.947	6.063	10.677	497
17. ბოგდანოვკის რაიონი	9.187	1.626	6.331	9.187	461
18. ბოლნისის რაიონი	12.099	3.387	7.575	12.099	500
19. ბორჯომის რაიონი	14.018	10.296	—	14.018	450
20. გარდაბნის რაიონი	6.431	1.765	3.698	6.431	278
21. გეგეჭკორის რაიონი	16.466	5.450	9.274	16.466	887
22. გორის რაიონი	16.888	6.956	8.659	16.888	945
23. გურჯაანის რაიონი	15.264	12.090	—	15.264	643
24. დმანისის რაიონი	11.769	2.347	8.823	11.769	627
25. დუშეთის რაიონი	16.714	3.115	12.303	16.714	683
26. ვანის რაიონი	12.026	3.576	7.164	12.026	613
27. ზესტაფონის რაიონი	18.711	15.195	—	18.711	748
28. ზუგდიდის რაიონი	28.599	23.885	—	28.599	1.118
29. თეთრი წყაროს რაიონი	13.592	3.362	8.897	13.592	673
30. თელავის რაიონი	20.377	15.275	—	20.377	683
31. თერჯოლის რაიონი	9.240	2.852	5.247	9.240	443
32. თიანეთის რაიონი	8.040	1.987	5.220	8.040	329
33. კასპის რაიონი	14.131	11.109	—	14.131	620
34. კაჭრეთის რაიონი	8.687	2.230	6.056	8.687	387
35. ლაგოდეხის რაიონი	14.199	5.515	6.094	14.199	656
36. ლანჩხუთის რაიონი	12.907	10.320	—	12.907	573
37. ლენტეხის რაიონი	5.866	858	4.628	5.866	248
38. მაიაკოვსკის რაიონი	10.047	3.227	5.752	10.047	479
39. მარნეულის რაიონი	15.930	13.065	—	15.930	727
40. მახარაძის რაიონი	24.055	19.765	—	24.055	963
41. მესტიის რაიონი	7.739	1.577	5.549	7.739	355
42. მცხეთის რაიონი	10.867	9.544	—	10.867	472
43. ონის რაიონი	11.092	2.319	7.987	11.092	441
44. ორჯონიკიძის რაიონი	12.432	2.992	8.647	12.432	572
45. საგარეჯოს რაიონი	11.302	4.282	5.965	11.302	523
46. სამტრედიის რაიონი	18.358	13.475	—	18.358	702
47. საჩხერის რაიონი	10.644	2.902	7.013	10.644	494
48. სიღნაღის რაიონი	16.025	12.811	—	16.025	625
49. ტყიბულის რაიონი	15.034	7.493	4.799	15.034	527
50. ქარელის რაიონი	12.881	11.832	—	12.881	625
51. ქლუხორის რაიონი	8.426	2.371	2.802	8.426	221
52. ქუთაისის რაიონი	10.303	4.416	4.440	10.303	567
53. ყაზბეგის რაიონი	6.122	1.007	4.534	6.122	229
54. ყვარლის რაიონი	10.059	3.617	5.645	10.059	483
55. ჩოხატაურის რაიონი	12.480	4.322	5.739	12.480	579
56. ჩხოროწყუს რაიონი	9.456	3.372	5.320	9.456	492
57. ცაგერის რაიონი	10.709	2.604	6.294	10.709	465
58. ცხაკაიას რაიონი	17.087	13.489	—	17.087	666
59. წალენჯიხის რაიონი	10.185	3.673	5.589	10.185	500
60. წალკის რაიონი	14.044	2.765	8.923	14.044	722
61. წითელწყაროს რაიონი	10.393	5.513	2.439	10.393	368
62. წულუკიძის რაიონი	12.634	3.904	6.680	12.634	501
63. წყალტუბოს რაიონი	8.930	4.136	1.016	8.930	393
64. ჭიათურის რაიონი	9.523	2.540	5.898	9.523	553
65. ხაშურის რაიონი	17.280	13.464	—	17.280	656
66. ხობის რაიონი	10.484	3.627	4.795	10.484	498
67. თბილისის ოლქი	3.961	—	—	3.961	—
68. ქუთაისის ოლქი	4.076	—	—	4.076	—
სულ	**1.515.409**	**798.816**	**289.029**	**1.515.409**	**50.939**

7. დაწესდეს 1953 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში გადასარიცხავად შემდეგი ოდენობით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 25%;

ბ) სატყეო შემოსავლიდან 40%;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100%;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრკ უცოლო, უშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	25	40	40	40	40	20,9
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	25	40	40	40	40	16,9
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	25	40	40	40	40	100,0
4. ქალაქი თბილისი	5	25	15	15	23	4,2
5. ქალაქი ქუთაისი	10	—	—	25	10	8,5
6. ქალაქი ფოთი	25	40	40	40	40	16,0
7. ქალაქი ჭიათურა	25	—	—	40	40	8,2
8. ქალაქი რუსთავი	10	—	—	20	40	19,8
9. ქალაქი გორი	40	—	—	40	40	35,3
10. აბაშის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
11. ადიგენის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
12. ამბროლაურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
13. ასპინძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
14. ახალქალაქის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
15. ახალციხის რაიონი	25	40	40	40	40	25,0
16. ახმეტის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
17. ბოგდანოვკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
18. ბოლნისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
19. ბორჯომის რაიონი	25	40	40	40	40	23,0
20. გარდაბნის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
21. გეგეჭკორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
22. გორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
23. გურჯაანის რაიონი	25	40	40	40	40	88,9
24. დმანისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
25. დუშეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
26. ვანის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
27. ზესტაფონის რაიონი	25	40	40	40	40	21,3
28. ზუგდიდის რაიონი	25	40	40	40	40	40,9
29. თეთრი წყაროს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
30. თელავის რაიონი	25	40	40	40	40	51,5
31. თერჯოლის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
32. თიანეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
33. კასპის რაიონი	25	40	40	40	40	72,5
34. კაჭრეთის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
35. ლაგოდეხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
36. ლანჩხუთის რაიონი	25	40	40	40	40	71,5
37. ლენტეხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
38. მაიაკოვსკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
39. მარნეულის რაიონი	25	40	40	40	40	74,7
40. მახარაძის რაიონი	25	40	40	40	40	17,3
41. მესტიის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
42. მცხეთის რაიონი	25	40	40	40	40	91,7
43. ონის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
44. ორჯონიკიძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
45. საგარეჯოს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
46. სამტრედიის რაიონი	25	40	40	40	40	9,3
47. საჩხერის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
48. სიღნაღის რაიონი	25	40	40	40	40	76,6
49. ტყიბულის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
50. ქარელის რაიონი	25	40	40	40	40	58,4
51. ქლუხორის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
52. ქუთაისის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
53. ყაზბეგის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
54. ყვარლის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
55. ჩოხატაურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
56. ჩხოროწყუს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
57. ცაგერის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
58. ცხაკაიას რაიონი	25	40	40	40	40	35,9
59. წალენჯიხის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
60. წალკის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
61. წითელწყაროს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
62. წულუკიძის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
63. წყალტუბოს რაიონი	25	40	40	40	40	20,7
64. ჭიათურის რაიონი	25	40	40	40	40	20,7
65. ხაშურის რაიონი	25	40	40	40	40	55,9
66. ხობის რაიონი	25	40	40	40	40	20,7

8. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: შემოსავლის ნაწილში 2.901.925 ათასი მანეთი, გასავლის ნაწილში 2.654.710 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 247.215 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 19 აგვისტოს სხდომის შესახებ

19 აგვისტოს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **შ. ვ. ხიდაშელი** (ჭიათურის რაიონის სვერის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ე. მელაძე** (ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. კ. მაკაროვი** (წალკის რაიონის ედიქილისის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ი. ყუფარაძე** (ხულოს რაიონის ყინჩაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ი. ბარამია** (ცხაკაიას რაიონის ცხაკაიას საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ი. ჯანელიძე** (ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საარჩევნო ოლქი). შემდეგ თავმჯდომარე **ა. დ. გიორგაძე** სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **ვ. მ. ბაქრაძეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო კამათის შეწყვეტის შესახებ და ისმენს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. **კ. ს. ციმაკურიძის** საბოლოო სიტყვას.

დეპუტატ **ა. ა. გიგოშვილის** წინადადებით მიღებულ იქნა ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგი წესი: საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილების მიხედვით; რესპუბლიკურ ბიუჯეტს — შემოსავლისა და გასავლის საერთო შედეგების მიხედვით; **ანგარიშს** საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილების შესრულების საერთო შედეგების მიხედვით; სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მიღებულ იქნას მუხლობრივ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ანგარიშს საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

უმაღლესი საბჭო მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად ამტკიცებს „კანონს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

უმაღლესი საბჭო იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ა. ჯავახიშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებებს:

„აჭარის ასს რესპუბლიკაში შუახევის რაიონის შექმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ახალი ათონის რაიონის შექმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ თბილისისა და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ ზემო სვანეთის რაიონისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ ქვემო სვანეთის რაიონისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების „7 მუხლის ცვლილებების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. გ. დეკანოზოვისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის ა. ნ. რაფავას მოხსნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად ალექსი ნიკოლოზის-ძე **ინაურის;**

საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრად თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე **დავითაშვილის** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება — დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ლ. პ. ბერიას ჩამოერთვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი მისი დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების გამოაშკარავების გამო, მოქმედებისა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

შემდეგ სესია იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას: „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ა. ჯავახიშვილმა.**

უმაღლესმა საბჭომ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულნი.

დეპუტატმა **ნ. ა. ჟვანიამ** აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით სესიის განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის საკითხი.

უმაღლესმა საბჭომ დაადგინა დეპუტატი **ნ. ა. ჯავახიშვილი** პირადი თხოვნის თანახმად გათავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან და აირჩია იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია დეპუტატი **თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და გათავისუფლა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი ამოიწურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. დ. გიორგაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას დახურულად აცხადებს.

მთავრობის ცნობები

საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ

ამ დღეებში საბჭოთა კავშირში, გამოცდის მიზნით, მოხდენილ იქნა ერთ-ერთი სახეობის წყალბადის ბომბის აფეთქება.

იმის გამო, რომ წყალბადის ბომბში განხორციელდა მძლავრი თერმო-გულის რეაქცია, აფეთქება დიდი ძალისა იყო. გამოცდამ ცხადყო, რომ წყალბადის ბომბის სიმძლავრე ბევრად აღემატება ატომური ბომბების სიმძლავრეს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი უკვე რამდენიმე წელია ფლობს ატომურ იარაღს და ამ იარაღის სათანადო გამოცდა მოახდინა. როგორც უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის ა. წ. 8 აგვისტოს სიტყვიდან ჩანს, საბჭოთა კავშირი წყალბადის ბომბის წარმოების საიდუმლოებასაც დაეუფლა.

საბჭოთა მთავრობის ამ ცნობამ მრავალი გამოხმაურება გამოიწვია უცხოეთში. უცხოეთის ზოგიერთი წრეები, რომლებიც თავის პოლიტიკაში იმედს ამყარებდნენ ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიაზე ატომური ბომბის, ხოლო შემდეგ წყალბადის ბომბის მფლობელობაში, ცდილობენ დააშინონ ხალხები იმ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირი ფლობს წყალბადის იარაღის წარმოების საიდუმლოებას, და ამასთან დაკავშირებით გამოიწვიონ შეშფოთება, იყენებენ რა ამას გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ, ისევე როგორც წინათ, ასეთი შეშფოთებისათვის არავითარი საფუძველი არ მოიპოვება.

საბჭოთა კავშირის უცვლელი პოლიტიკის შესაბამისად, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის მიმართა სხვა ქვეყნების მთავრობებს წინადადებით მოხდეს შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირება და აიკრძალოს ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენება, რისთვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში დაწესდეს სასტიკი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი.

საბჭოთა მთავრობა ახლაც მტკიცედ დგას ამ პოზიციაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

ქამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ **ბ. ე. ლომიძის** სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ხალხი, რომელმაც თავისი ბედი უძველესი დროიდანვე დაუკავშირა დიდ რუს ხალხს, განუხრელად მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

ქალაქის საწარმოებმა 1952 წლის საწარმოო გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 18 მილიონზე მეტი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია მისცეს სამშობლოს. ქალაქის მრეწველობის ხვედრითი წონა 1951 წელთან შედარებით 1952 წელს 18 პროცენტით გადიდდა.

მიმდინარე წლის 7 თვის მანძილზე ქალაქის მრეწველობას 22 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვა, ვიდრე 1952 წლის შესაბამის პერიოდში. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შინაგარეკურსების უკეთ გამოყენების შედეგად ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფო დავალება.

მიუხედავად ამისა, ქალაქად ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ჩამორჩენილი საწარმო. ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ მიმდინარე წლის შვიდი თვის საწარმოო დავალება მხოლოდ 91,4 პროცენტით შეასრულა. ქარხანამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია რიტმულ მუშაობას, მთელ რიგ უბნებზე კვლავ დიდია მოცდენები, ვხვდებით წუნდებული პროდუქციის გამოშვებასაც. სისტემატურად ჩამორჩებიან საწარმოო დავალებათა შესრულებაში აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის მთელი რიგი არტელები და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის საწარმოები.

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის კეთილმოწყობისა და კომუნალურ საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად. 1953 წლის განვლილ პერიოდში ქუჩების, ტროტუარების და მოედნების მშენებლობას, ელექტროგანათების ქსელის გაფართოება-რეკონსტრუქციას, გამწვანების სამუშაოებს, საბინაო მშენებლობას და სხვა უმნიშვნელოვანეს კომუნალურ ღონისძიებათა განხორციელებას მოხმარდა 7 მილიონამდე მანეთი, გაცილებით მეტი, ვიდრე 1952 წლის შესაბამის პერიოდში იყო დაბანდებული.

მაგრამ კომუნალური მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში ჯერ კიდევ დიდ ღონისძიებათა განხორციელება მოგვიწევს, ვინაიდან ამ დარგში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალ საბინაო მშენებლობას და არსებული საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებას. ამჟამად მშენებლობის პროცესშია ქალაქო საბჭოს სამი საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან ორი წელსვე უნდა დამთავრდეს. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რასაც ტრესტი ქუთაისმშენი ახორციელებს, ნელი ტემპით მიმდინარეობს. მშენებლობას ხელს უშლის ფონდირებული მასალების, განსაკუთრებით კი ხე-ტყის მასალის მიღების შეფერხება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საუწყებო საბინაო მშენებლობაც.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ქალაქში ახალი წყალსადენის აგება და კანალიზაციის ქსელის გაფართოება. აუცილებელია ქალაქის ცენტრში დამატებით აგებულ იქნას ერთი ახალი ხიდი. საჭიროა აგრეთვე მომავალი წლიდან დაწყებულ იქნას ქუთაისის ახალი წყალსადენის მშენებლობა ან გაფართოვდეს ფარცხანაყანევის წყალსადენი.

ქ. ქუთაისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტია დრამატული თეატრი, რომლის მშენებლობის მთლიანად დამთავრებისათვის საჭიროა კიდევ 5 მილიონ მანეთამდე.

ვთხოვ საქართველოს მთავრობას გაგვიწიოს დახმარება, რათა თეატრის მშენებლობისათვის წელს დაშატებით გამოგვეყოს 2 მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხები მოგვცეს 1954 წლისათვის, იმ ვარაუდით, რომ 1954 წლის პირველ ნახევარში შევძლოთ თეატრის მშენებლობის მთლიანად დამთავრება.

ამჟამად ჩვენს ქალაქში მუშაობს ოცდაათი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 14.110 მოსწავლით. ქალაქის ყველა სკოლა მუშაობს ორ ცვლად, უფროსი კლასების 6 ათასამდე მოსწავლეს ეუხდება მეორე ცვლაში მეცადინეობა, რაც ხელს შეუშლის პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას. გარდა ამისა, ამჟამად არსებული საოჯახო სკოლები ვერ აკმაყოფილებს მუშა ახალგაზრდობის მოთხოვნილებას. ზოგიერთ საწარმოში კი ორ ცვლად მუშაობის გამო მუშები ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას, თუ მათთვის სკოლაც ორცვლიანი არ იქნა. ამის მოწყობა კი მუშა ახალგაზრდობის სკოლისათვის ცალკე შენობის გამოუნახავად არ ხერხდება. ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საბავშვო ბაღების ბინებით უზრუნველყოფის საქმეში.

ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს ქალაქ ქუთაისში 1954 წლისათვის ორი სკოლისა და ორი საბავშვო ბაღის შენობების ასაგებად სათანადო თანხების გამოყოფა, აგრეთვე ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლის აგება. ამ ინსტიტუტისათვის, რომელიც 1933 წლიდან არსებობს, დღემდე არც ერთი ახალი სასწავლო ან საცხოვრებელი შენობა არ აგებულა.

ქალაქის მოსახლეობას მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო ქსელი. 1953 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვაზე გათვალისწინებულია 18.667.000 მანეთი ანუ 3,5 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წელს. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ არსებული შენობები საავადმყოფოების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. აუცილებელია აგებულ იქნას სპეციალური შენობა 200-საწოლიანი საავადმყოფოსათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ქალაქ ქუთაისის, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელშიც თავის გამოხატულებას პოულობს პარტიისა და მთავრობის სისტემატური ზრუნვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის.

ქალაქის 1953 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია სესიაზე დასამტკიცებლად, განისაზღვრება 56.847 ათასი მანეთით, რაც 1952 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობას აღემატება 4 მილიონი მანეთით, ხოლო 1946 წლის ბიუჯეტს — 23 მილიონი მანეთით. წარმოდგენილი ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება ქალაქის მშრომელთა ინტერესებს. ყველა ღონისძიებას ვიხმართ მისი წარმატებით შესრულებისათვის. (ტაში).

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1952 წლის 13 დეკემბრისა — „აჭარის ასსრ შუახევის რაიონის შექმნის შესახებ“,

1952 წლის 13 დეკემბრისა — „აფხაზეთის ასსრ ახალი ათონის რაიონის შექმნის შესახებ“,

1953 წლის 16 აპრილისა — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თბილისის და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ“,

1953 წლის 29 მაისისა — „საქართველოს სსრ ზემო სვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ“,

1953 წლის 29 მაისისა — „საქართველოს სსრ ქვემო სვანეთის რაიონის გადარქმევის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. გ. დეკანოზოვისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის ა. ნ. რაფავას მოხსნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი: 1953 წლის 10 ივლისისა, რომლითაც მოხსნილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის-ძე და 1953 წლის 17 ივლისისა, რომლითაც მოხსნილია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობიდან რაფავა ავქსენტი ნარიკის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად — **ინაური** ალექსი ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრად — **დავითაშვილი** თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან თანახმად მისი თხოვნისა და არჩეულ იქნას იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

ამხ. თ. ნ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩევისა და მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული **ქვლივიძე** და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ ი. მოსაშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

იმის გამო, რომ გამოაშკარავებულია ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ. პ. ბერიასათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

1. **აბაკელია** ბორის ნესტორის-ძე, 2. **ბალათურია** დავით ისიდორეს-ძე, 3. **ბუბაშვილი** ტარასი სევერიანეს-ძე, 4. **გვათუა** იპოლიტე ტარიელის-ძე; 5. **გოგაშვილი** იოსებ ვასილის-ძე, 6. **ვართაპეტოვი** აშოთ ნიკიტას-ძე, 7. **თოდუა** პართენ კონსტანტინეს-ძე, 8. **კაპანაძე** უშანგი თეიმურაზის-ძე, 9. **მახათაძე** ლევან ერასტის-ძე, 10. **ნატროშვილი** სიდონია ისაკის ასული, 11. **ღუღუნიშვილი** ალექსანდრე არსენის-ძე, 12. **ყურაშვილი** ვახტანგ არსენის-ძე, 13. **ცაბოლოვა ელისაბედ** პავლეს ასული, 14. **ჯაფარიძე** ანასტასია მიხეილის ასული, 15. **ჯაფარიძე** სამონ ალექსანდრეს-ძე, 16. **ჯაჯანაშვილი** თეიმურაზ ესტატეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან:

1. ბასილაია ისიდორე სესიას-ძე, 2. კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე, 3. ოდიშვილი ისიდორე სიმონის-ძე, 4. ცანავა გრიგოლ დიმიტრის-ძე, 5. ჭარხალაშვილი მარიამ ევგენის ასული, 6. ხანთაძე დომენიკა გრიგოლის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი, 1953 წ. 19 აგვისტო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ბასილაია ისიდორე სესიას-ძე, 2. კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე, 3. ოდიშვილი ისიდორე სიმონის-ძე, 4. ცანავა გრიგოლ დიმიტრის-ძე, 5. ჭარხალაშვილი მარიამ ევგენის ასული, 6. ხანთაძე დომენიკა გრიგოლის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიკიძე.

ქ. თბილისი, 1953 წ. 19 აგვისტო.

სიტყვა იბეჭდება შემოკლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ნ. მირიანაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, მთლიანად უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობის ღონისძიებათა დაფინანსებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებსაც. საგაზაფხულო თესვა განხორციელდა აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც წელს უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღებას.

წელს ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმა მოიყვანეს პურის, ამ ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის უხვი მოსავალი. ეს საშუალებას აძლევს რაიონის კოლმეურნეობებს წელს ორჯერ და უფრო მეტი პური გასცენ შრომადღეებზე, ვიდრე შარშან. პირველი აგვისტოსათვის კოლმეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი პირველი მცნება, სახელმწიფოს ჩაბარეს მაღალხარისხოვანი მარცვლეული. ამასთან წელს მათ თითქმის ერთიორად მეტი პური მისცეს ქვეყანას, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობები ამჟამად მთლიანად უზრუნველყოფილი არიან საშემოდგომო თესვისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი თესლით.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა მთლიანად მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიდან პროდუქტების ჩაბარების დარგში. წარმატებით მიმდინარეობს ხილის დამზადება. წელს შარშანდელზე ერთიორად მეტი კურკოვანი ხილი დამზადდა.

თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა ეთერზეთოვანი ქარხნის კოლექტივმაც, რომელმაც წელს ერთიორად გაადიდა ვარდის ზეთის გამოსავლიანობა.

რაიონის მშრომელები ამჟამად თავდადებით იბრძვიან თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის. მათ პირობა დადეს სახელმწიფოს ჩაბარონ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ქართული სიგარეტისათვის თამბაქო.

ყოველივე ამასთან ერთად სწორი არ იქნებოდა მიგვეჩქმალა ჩვენი მუშაობის ჩრდილოვანი მხარეები. რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები და კოლმეურნეობები.

სოფლების მშვიდობიანისა და ახალი საქობოს კოლმეურნეობებმა, სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ვერ უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმების შესრულება. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობებში ყურადღება არ ექცევა აგროტექნიკური წესების ზუსტად განხორციელებას, მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა.

რაიონში წლიდან წლამდე არ სრულდება მეცხოველეობის სულადობის განვითარების გეგმები და მეტისმეტად დაბალია პროდუქტიულობა. რაიონის მშრომელებმა, ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და მეცხოველეობა გადააქციონ მოწინავე, შემოსავლიან დარგად. ამას მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნის ინტერესები.

ჩვენი დიადი საშობლოს ხალხები მჭიდროდ არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ისინი მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის, მთავრობის პოლიტიკას.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები ჩვენი დიადი სამშობლოს ადამიანებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ძირშივე აღკვეთონ გარეწართა ყოველი ცდა — შეასუსტონ საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერება.

წელს ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა მიიღებს საშუალო სკოლის ახალ შენობას დაბა ლაგოდეხში და რვაწლიანი სკოლის შენობას სოფელ ორჯონიკიძეში. სათანადო ორგანიზაციებს რომ დაეჩქარებინათ მშენებლობისათვის საშენი მასალების მოწოდება, სრულიად შესაძლებლობა გვექნებოდა შენობები საექსპლოატაციოდ გადაგვეცა სასწავლო წლის დასაწყისისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. საჭირო იქნება ახლა მაინც დაჩქარდეს საშენი მასალების მოწოდება, რათა მეოთხე კვარტალში უზრუნველყოთ ამ მშენებლობათა დამთავრება.

წელს ლაგოდეხის რაიონში მწყობრში ჩადგა კაბლის ჰიდროელექტროსადგური. სესიას ვთხოვ გაითვალისწინოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით ლაგოდეხის რაიონისათვის დამატებით 200.000 მანეთი ელექტროიოსკების მშენებლობის დასაფინანსებლად.

იმის გამო, რომ მომავალი წლიდან რაიონში საგრძნობლად დიდდება ეთერიოვანი ზეთების წარმოება, საჭიროა მიმდინარე წელსვე მოხდეს ეთერზეთების ქარხნის გაფართოება, უამისოდ მომავალ წელს შეფერხდება ამ ძვირფასი პროდუქციის მიღება.

ამხანაგო დეპუტატებო!

მე მთლიანად ვუჭერ მხარს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს, რომელიც ერთხელ კიდევ ნათელყოფს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ბიუჯეტი უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ აყვავებასა და წინსვლას. (ტაში).

ამხ. გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს, უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ქალაქ თბილისის 1953 წლის ბიუჯეტის მოცულობა გათვალისწინებულია როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში 317.479 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 7,9 პროცენტით აღემატება გასული წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხას. ბიუჯეტის პროექტით თბილისის საქალაქო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 117.119 ათასი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტის სახსრებიდან დაიხარჯება 87.585 ათასი მანეთი. ეს თანხა 12.742 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე გასულ წელს ამავე მიზნისათვის გამოყოფილი ასიგნობანი. ქალაქის კომუნალურ მეურნეობას წელს მოხმარდება 81.674 ათასი მანეთი, საბინაო მეურნეობას — 26.754 ათასი მანეთი, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობას და სხვა ღონისძიებებს — 4.383 ათასი მანეთი. მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრების, გარეუბნის კურორტებისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

წელს თბილისში კაპიტალური მშენებლობისათვის აღმასკომისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხაზით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 45.887 ათასი მანეთი, რაც 12 პროცენტით აღემატება შარშან ამავე მიზნებისათვის გამოყოფილ ასიგნობებს. მარტო საბინაო-კომუნალური მშენებლობისათვის თბილისში საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების ხაზით 1953 წელს დაიხარჯება 36.746 ათასი მანეთი.

საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო სესიას, რომ ქალაქ თბილისის მიმდინარე წლის საბინაო-კომუნალური მშენებლობის გეგმა 1 აგვისტოსათვის შესრულებულია 71,6 პროცენტით, ე. ი. 7 თვის გეგმა განადღებულია 115,8 პროცენტით.

როგორც ხედავთ, საბინაო-კომუნალური მშენებლობის დარგში კარგი მაჩვენებლები გვაქვს, მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, კერძოდ, ლენინის რაიონში გათვალისწინებული აბანოს მშენებლობას იანვრის ნაცვლად ივლისში შეუდექით, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში ჯერაც არ დაგვიწყია. ტრესტ თბილისმშენის უხეირო მუშაობის შედეგად ჩაშლამდეა მისული არაყიშვილისა და ჩელიუსკინელების ქუჩებზე დაწყებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. სერიოზული ჩამორჩენაა ზოგიერთ სხვა სამშენებლო ობიექტზეც.

თბილისში საბინაო მშენებლობას მართალია სერიოზული ყურადღება ექცევა, მაგრამ დღემდე მაინც ყველაზე მტკივნეულ ადგილს საბინაო ფონდის სიმცირე წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ 1953 წელს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა 5.816.000 მანეთი არ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას.

ვთხოვ საქართველოს მთავრობაა მიმდინარე წელს თბილისის საბინაო მშენებლობისათვის გამოგვიყოს დამატებითი თანხები სულ მცირე 5.000.000 მანეთის ოდენობით, საიდანაც 3.000.000 მანეთი აუცილებელია იმ სამი საცხოვრებელი სახლის დასაფინანსებლად, რომლებიც წელს უნდა დაეამთავროთ, ხოლო დანარჩენი თანხა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წელსვე დასაწყებად.

უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებლად ჭიანურდება საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საუწყებო სახლების მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი 50 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობიდან დღეისათვის ჩაბარებულია მხოლოდ 15 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

ქალაქში ფართოდ არის გაშლილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლობა, რაზედაც წელს დაიხარჯება 26.877 ათასი მანეთი. ამ საქმეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს, რადგან, ორთაქალის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გაშვება, რაც მიმდინარე წლის ბოლოსათვის არის გათვალისწინებული, დამოკიდებულია სანაპიროს მთელ რიგ საინჟინრო სამუშაოთა დროულად დამთავრებაზე. მთავრობამ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დამატებით გამოგვიყო 17.600 ათასი მანეთი. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ავითვისებთ ამ თანხას, მაგრამ იმისათვის, რომ ორთაქალჰესი ამუშავდეს წელსვე თუ არა, 1954 წლის პირველ კვარტალში მაინც, საჭიროა შესრულდეს მთელი რიგი დამატებითი საინჟინრო სამუშაოები, როგორიც არის, მაგალითად, ძველ ღვარმიმღებთა რეკონსტრუქცია. საყრდენი კედლის გაყოლებით სადრენაჟო ნაგებობათა და რიყის რაიონში წყალსაჩაჩავი სადგურის აშენება. ყოველივე ეს კი მოითხოვს დამატებით თანხებს. ამიტომ ვთხოვ საქართველოს მთავრობას აღნიშნულ სამუშაოთა დასამთავრებლად დამატებით გამოგვიყოს 5 მილიონი მანეთი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება, საბინაო სამმართველო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სარემონტო სამუშაოების ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

(თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)

კიროვის, მოლოტოვის, 26 კომისრის, ნაწილობრივ სტალინისა და კალინინის რაიონებში ბევრი საცხოვრებელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და მოითხოვს დაუყოვნებლივ დანგრევას. საბინაო ფონდის წესრიგზე მოსაყვანად ქალაქს აქვს მხოლოდ საბინაო სამმართველოებთან არსებული სარემონტო კანტორები, რომელთაც არავითარი საწარმოო ბაზა არ მოეპოვებათ, აკლიათ მექანიზმები და მოწყობილობა. ამიტომ ყველა სამუშაო პრიმიტიულად, კუსტარულად სრულდება. ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა რომელიმე სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, ქალაქის საბჭოს აღმასკომი იძულებულია რაიონების საბინაო სამმართველოების სარემონტო კანტორებს დაავალოს სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლებისა და სხვ. სარემონტო სამუშაოები, რომლებსაც წინათ სხვა სამშენებლო ორგანიზაციები აწარმოებდნენ. ყოველივე ამან სარემონტო კანტორების სამუშაოების მოცულობა 40 მილიონ მანეთამდე გაზარდა.

ამიტომ უკვე დიდი ხანია მომწიფდა საკითხი — შეიქმნას ქალაქის საბჭოს აღმასკომთან სარემონტო-სამშენებლო ტრესტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა სახის თანამედროვე მექანიზმებით. ტრანსპორტით. საშენი მასალებით, თანხებით, და ეყოლება საკმაო მუშახელი.

1953 წლის ბიუჯეტით თბილისში გათვალისწინებულია ახალი სკოლების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობა, მაგრამ საამისოდ გამოყოფილი თანხების ათვისება სრულიად არადამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში კაპიტალური მშენებლობის გეგმა განათლების განყოფილების ხაზით შესრულებულია მხოლოდ 11,6 პროცენტით, ხოლო ჯანმრთელობის განყოფილების ხაზით — 58,2 პროცენტით. ამ სამარცხვინო ჩამორჩენაში ჩვენთან ერთად ბრალი მიუძღვით საპროექტო ორგანიზაციებს, რომლებიც დაუშვებლად აჭიანურებენ საპროექტო დოკუმენტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, და სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მიცემული თანხების ათვისების საქმეს.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი წამყვანი დარგის ხელმძღვანელნი არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებისათვის. ეს ითქმის „გლავტექსტილორგის“ საქართველოს ბაზის, „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის, საქეთერზეთის ტრესტის, საქართველოს თამბაქოს ტრესტის თბილისის გაშალებელი ბაზის და „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს სამმართველოს შესახებ.

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთ ძალღონეს არ დაიშურებენ ჩვენს წინაშე მდგომი ამ ამოცანების გადაულაწყვეტად, რომლებიც დაგვისახა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ. (ტაში).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე

დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხის შესახებ

გერმანია

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი უდიდესი მადლიერებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე და იგი მიაჩნიათ როგორც ახალი დამამტკიცებელი საბუთი საბჭოთა მთავრობის გულწრფელი მისწრაფებისა — რაც შეიძლება მალე გადაწყდეს გერმანიის პრობლემა. საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივაზე მხურვალე მოწონებითი გამოხმაურება მოდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კუთხის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენებისაგან.

გუშინ ბერლინის დემოკრატიული სექტორის მთელ რიგ საწარმოებში გაიმართა მშრომელთა კოლექტივების კრებები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტის განხილვას. ეს კრებები, რომლებზეც სიტყვები წარმოთქვეს მთავრობის წევრებმა და დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, გადაიქცა საბჭოთა მთავრობისადმი გერმანელი ხალხის მადლიერების დემონსტრაციად. გერმანელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა მთავრობის დახმარებას მის ეროვნულ ბრძოლაში ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის.

ბერლინის რადიოპარატურის ქარხნის მშრომელთა კოლექტივის კრებაზე კეპენიკის რაიონში შეკრებილთა წინაშე სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ვალტერ ულბრიხტმა და ჰანს ლოხმა.

ჰანს ლოხმა თავის სიტყვაში საბჭოთა მთავრობის ნოტა დაახასიათა, როგორც იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მშვიდობისა და გერმანიის ერთიანობის შენარჩუნებისათვის, იმისათვის, რომ გერმანია შევიდეს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი.

„ეს დიდ დახმარებას ნიშნავს ჩვენთვის, — ხაზგასმით აღნიშნა ჰანს ლოხმა. — ყოველი წინადადება, რომელსაც საბჭოთა მთავრობის ნოტა შეიცავს, ყველა პატიოსანი გერმანელის სანუკვარ სურვილებსა და მოთხოვნებს შეესაბამება... თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც თავისი აგენტების საშუალებით არიგებს ლატკურ პაკეტებს, ნამდვილად სერიოზულად სურს დახმარება გაუწიოს გერმანელ ხალხს, მან უნდა მიიღოს საბჭოთა კავშირის „წინადადებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია აგრეთვე ომის შედეგებთან დაკავშირებულ საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი შემსუბუქებაც“.

შემდეგ კრებაზე გამოსულმა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა თათბირის ახალი ნოტა კაფავს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზას.

თვითეული გერმანელი აღმოსავლეთსა და დასავლეთში, თქვა ულბრიხტმა, სულით და გულით მიესალმება საბჭოთა მთავრობის ამ ახალ ნოტას, რადგან იგი გვისახავს ევროპაში მტკიცე მშვიდობის გზას.

ჩვენ არაფერი ისე არ გვსურს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ვალტერ ულბრიხტმა, როგორც ის, რომ მთელი ხალხის მშვიდობისადმი მისწრაფების ერთსულოვანი გამოხატვით მოხერხდეს მივაღწიოთ იმას, რომ დასავლეთის ახალშეწფოები, რომლებიც ცდილობდნენ აქამდე შეეფერხებინათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, დათანხმდნენ საბჭოთა წინადადებებზე.

შემდეგ გამოსული ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას და ხაზგასმით აღნიშნეს მისი დიდი მნიშვნელობა გერმანიის საკითხის რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

სახალხო საწარმო „შერინგის“ კოლექტივის კრებაზე (ადლერსჰოფში) საბჭოთა მთავრობის ნოტისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ჰენრიხ რაუმ და ოტო ნუშკემ.

ეს ნოტა აღაფრთოვანებს ყველა გერმანელ პატრიოტს, განაცხადა ჰენრიხ რაუმ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ოტო ნუშკემ, ამხელი რა ადენაუერის ანტიეროვნული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გერმანელთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების ჩაშლისაკენ და ისახავს აგრესიულ მიზნებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტების ინტერესებისათვის, განაცხადა:

ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ამერიკის სამხედრო გეგმების ობიექტი. ჩვენ გვსურს, ბოლოსდაბოლოს, მშვიდობა. ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად ყველამ უნდა იბრძოლოს.

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიულმა პრესამ თვალსაჩინო ადგილას გამოქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალი გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე. ამ გაზეთებმა, რომლებიც ორშაბათობით არ გამოდიან, დღეს მოათავსეს ნოტის სრული ტექსტი. საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებულ მასალებს გაზეთები ათავსებენ მსხვილი სათაურებით. „საბჭოთა კავშირი გერმანიის საკითხის გადაჭრის რეალურ გზას გვიჩვენებს“ („დერ მორგენი“), „საბჭოთა კავშირი აკმაყოფილებს გერმანელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მოთხოვნებს“ („ნოიეს დოიჩლანდი“), „საბჭოთა კავშირის წინადადებანი ყველა გერმანელის მისწრაფებას შეესაბამება“ („ტრიბიუნე“) და სხვ.

საბჭოთა მთავრობის წინადადებებმა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის და სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნის გზით გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ ყველგან მძლავრი გამოხმაურება პოვა, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“. გერმანელი ხალხის პატრიოტულ ძალებს ახალი ნოტა და ამ ნოტაში მოყვანილი წინადადებანი მიაჩნიათ დიდ დახმარებად მათს ბრძოლაში ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის.

განსაკუთრებით მიესალმებიან მთელ გერმანიაში წინადადებას იმის შესახებ, რომ 1954 წლის 1 იანვრიდან გერმანია განთავისუფლდეს რეპარაციებისა და ომისშემდგომი სახელმწიფო დავალიანების გადახდისაგან, აგრეთვე განისაზღვროს გერმანიის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული დიდი ხარჯები.

საყოველთაო აზრი ასეთია, აღნიშნავს დასასრულ „ნოიეს დოიჩლანდი“, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტა მორიგი რეალური ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის თავიდან აცილებისა და მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო — გაზეთი „ნაციონალ-ციაიტუნგი“ მოწმინავე სტატიაში წერს:

რომელი გერმანელი არ მიიღებს უდიდესი მადლობით ამ წინადადებებს! ჩვენ, გერმანელებმა, ჩვენი საკუთარი ისტორიიდან ვიცით, რომ მშვიდობა ყოველი ხალხის უპირველესი სასიცოცხლო აუცილებლობაა.

მოიყვანა რა საბჭოთა მთავრობის ნოტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ არავის არ შეუძლია უარყოს, რომ გერმანიის, როგორც დიდი სახელმწიფოს აღორძინება, რომელიც ღირსია შესაფერისი ადგილი დაიკავოს სხვა სახელმწიფოთა შორის. შესაძლებელია გერმანიის სახელმწიფოს მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გზით, იმ სახელმწიფოებთან მეგობრული თანამშრომლობის გზით, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს წინადადება გამოხატავს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის, მათ შორის თვით გერმანელი ხალხის ინტერესებს.

„საბჭოთა წინადადებანი, — ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ „ნაციონალ ციაიტუნგი, — გვიჩვენებენ ჩვენი ეროვნული სასიცოცხლო საკითხების გადაჭრის გზას: ერთიანობა, მშვიდობა, დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა“.

პარიზი, 17 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ბონელი კორესპონდენტის ცნობით, გააკეთა რა 17 აგვისტოს განცხადება პრეს-კონფერენციაზე გერმანიის საკითხის შესახებ საბჭოთა ნოტის გამო, ადენაუერმა თქვა, რომ საზავო ხელშეკრულების თაობაზე გერმანიის მიერ საბჭოთა წინადადებების მიღება თვითმკვლელობა იქნებოდა გერმანიისათვის. ჩვენ ვერავითარ პირობებში ვერ დავთანხმდებით ამ წინადადებებზე. განაცხადა ადენაუერმა, მართალია, გერმანია გაერთიანდებოდა, მაგრამ იგი იზოლირებული იქნებოდა.

შემდეგ ადენაუერმა განაცხადა, რომ მას არ ჯერა სსრ კავშირის მხრივ შეიარაღებული აგრესიის შესაძლებლობა, ამასთან ამტკიცებდა თითქოს საბჭოთა პოლიტიკის მიზანი ის იყოს, რომ ხელუხლებლად ჩაიგდოს ხელში ევროპის სამრეწველო პოტენციალი ცივი ომის საშუალებით.

ამოეფარა რა შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის განცხადებას 4 სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ, ადენაუერმა დასასრულ განაცხადა საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ ორი გერმანიის პარლამენტებმა ან მთავრობებმა შექმნან დროებითი მთავრობა, არ შეიძლება მიღებულ იქნას ბონის მთავრობის მიერ.

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჰარი ლევი ბერლინიდან იუწყება:

დასავლეთ ბერლინის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე და სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების გაზეთები დღეს თანხმანი არიან, რომ გერმანიის შესახებ საბჭოთა უკანასკნელი წინადადებების თავიდან მოშორება უბრალო „არათი“ კი არ შეიძლება, არამედ საჭიროა მათი შესწავლა. ფართო სოციალ-დემოკრატიული და მემარჯვენე წრეები გამოთქვამენ აზრს, რომ ნოტაში საკმაოდ არის ახალი მასალა, რათა განგრძობილ იქნას პრობლემის შესწავლა და შესაძლოა, კიდევაც დავთანხმდეთ საბჭოთა წინადადებაზე წინასწარი საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ მოწყობის შესახებ. მაგრამ ზოგიერთი მემარჯვენე წრე გადაჭრით უარყოფს ნოტას. ამ წრეებში აცხადებენ, რომ ნოტა პირდაპირ ნავარაუდევია დოქტორ ადენაუერის მთავრობის დასამხობად 6 სექტემბრის არჩევნებში, ნავარაუდევია იმისათვის, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს უფრო ელასტიკური მთავრობის კომბინაცია, რომელიც უფრო იქნება მზად წავიდეს შეთანხმებაზე...

ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მიაჩნიათ, რომ იქნებ შესაძლებელი აღმოჩნდეს დათანხმება იმაზე, რომ შეიქმნას სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა სანამ მოეწყობოდეს სრულიად გერმანიის არჩევნები იმ პირობით. რომ ამ მთავრობის მოცანები შემოიფარგლოს არჩევნების მომზადებით.

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრმა ერნსტ რაიტერმა განაცხადა, რომ საბჭოთა ნოტა „უაღრესად საინტერესოა და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“ მან თავი შეიკავა შემდგომი კომენტარებისგან მთელი ტექსტის შესწავლამდე.

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). ცნობები საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტის შესახებ დასავლეთ ბერლინის დღევანდელმა საღამოს გაზეთებმა პირველ გვერდზე მოათავსეს დიდრონი სათაურებით.

დიდი სათაურით მთელ პირველ გვერდზე „მოსკოვი კონკრეტულ წინადადებებს აძლევს“ საფრანგეთის ლიციენზიონი გამომავალი გაზეთი „დერ კურირი“ ათავსებს მსხვილი შრიფტით აწყობილ ცნობას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებანი გერმანიის საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის ნოტისა და საბჭოთა მთავრობის პროექტისა საზავო ხელშეკრულების შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ილუზია იქნებოდა სადავოდ გაგვეხადა ეს გავლენა“, რომელსაც საბჭოთა ახალი ნოტა მოახდენს გერმანელი ხალხის განწყობილებაზე და დასასრულ წერს: „ამ წინადადებას არ შეიძლება ვუპასუხოთ უბრალო „არათი“, ან ორჭოფი მანევრებით. მოსკოვმა ერთხელ კიდევ სავსებით ნათლად გვითხრა, თუ რა ფასს მოითხოვს იგი გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის. საჭირო შესწავლილ იქნას ეს კონკრეტული წინადადება. იგი სულ მცირე შეიცავს ორივე მხარეს შორის მოლაპარაკების მორალურ აძულებას შემდგომი განვითარების საკითხია, თუ ამ მოლაპარაკების მსვლელობაში საბოლოო ახგარიშით სახელდობრ რა აღმოჩნდება პრაქტიკულად შესაძლებელი ან ისეთი რამ, რაც სადისკუსიო არ არის“.

გაზეთი „ბერლინერ ნახტ-დეპეშე“ წერს. რომ საჭიროა დავეთანხმოთ საბჭოთა ნოტას და მოლაპარაკების გზით აღმოვფხვრათ ყველა „მახე“, მაშინ, აცხადებს გაზეთი, იქნებ შესაძლო გახდეს დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებაზე, რასაც კრემლი მოითხოვს.

დასავლეთ ბერლინის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „მონტაგ-მორგენი“ ბეჭდავს დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ნოტის შინაარსს.

გაზეთი „მოულოდნელს“ უწოდებს ნოტას და აღნიშნავს, რომ იგი „დაწერილია ზომიერი კილოთი“.

ცალკე ცნობაში, სათაურით „1954 წელი რეპარაციების დასასრულია?“, გაზეთი წერს:

გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირის ახალი ნოტა წინადადებას იძლევა შეწყდეს რეპარაციების გადახდა 1954 წლის 1 იანვრიდან, აგრეთვე შეწყდეს ოთხი დიდი სახელმწიფოსათვის ომისშემდგომი ვალების გადახდა. გარდა ამისა, ნოტა წინადადებას იძლევა აგრეთვე შეზღუდულ იქნას საოკუპაციო ხარჯების ოდენობა.

გაზეთი აცხადებს, რომ „გუშინდელი საბჭოთა ნოტა... გულმოდგინედ უნდა იქნას შესწავლილი“, და ურჩევს დასავლეთის სახელმწიფოებს „აგრეთვე იყვნენ მზად დათმობისათვის“.

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). აფნ-ის სააგენტო ჰამბურგიდან იუწყება:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ახლო მდგომი გაზეთი, „ჰამბურგერ ეხო“ 17 აგვისტოს ნომრის მოწინავე სტატიაში განიხილავს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ნოტის იმ ნაწილს. რომელშიც აღნიშნულია, რომ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში დასავლეთ გერმანიის ჩაბმა შეუძლებელს გახდის დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებას. გაზეთი წერს:

„ვინც დღემდე ეს არ იცოდა ან ვისაც სჯეროდა თავგზის ამბნევი განცხადებანი ფედერალური კანცლერისა, რომ დ

არჩევნების წინ

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნების დღეებში

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნები, რაც ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს, მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის დიდ აღმავლობას იწვევს.

როგორც გაზეთი „გუნენენიბაო“ 8 აგვისტოს იუწყებოდა, არჩევნებს დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ხვდებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მუკდენისა და ფუშუნის ბევრი სამრეწველო საწარმოს და მშენებლობის მუშები.

რამდენიმე ათასი მშენებელი მუშა, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქალაქ მუკდენის ნანიუს არხის მშენებლობაზე მუშაობენ, არჩევნებს ხვდება ახალი შრომითი მიღწევებით. არჩევნების აღსანიშნავად მუშებში ფართოდ გაჩაღდა შრომითი შეჯიბრება.

არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში დიდი წარმატებანი მოიპოვეს სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა. ფუშუნის ელექტრომექანიკური ქარხნის მე-6 უბნის პირველი ბრიგადის მუშებმა ცამეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. მარტო ზოგიერთი მათგანის დანერგვამ შრომის ნაყოფიერება ერთიორად და ერთისამად გაადიდა.

საწარმოთა საუკეთესო მუშებს ასახელებენ სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების კანდიდატებად.

როგორც გაზეთი „გუანმინჟიბაო“ იუწყება, იქ, სადაც არჩევნები დამთავრდა, სახალხო დეპუტატები დიდი ენთუზიაზმით ასრულებენ ხალხის მიერ მათზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობებს.

საფრანგეთში საგაფიცვო ბრძოლა ფართოვდება

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). მოლაპარაკება, რომელიც ამ ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში წარმოებდა, ერთი მხრივ, „ფორს უვრიერისა“ და „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“ პროფკავშირთა ხელმძღვანელებსა და, მეორე მხრივ, მთავრობას შორის, ჩაიფუშა.

გუშინ მთავრობის მეთაურმა ლანიელმა რადიოთი წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც პარიზის გაზეთების უმრავლესობა ულტიმატუმს უწოდებს. ლანიელმა, კერძოდ, განაცხადა: „მე მოვითხოვ ყველასგან შეწყვიტონ გაფიცვა ხვალ, 18 აგვისტოს... მთავრობამ ამიერიდან უკვე განაზღვრა თავისი მოქმედების საბოლოო ხაზი. უკვე აღარ იქნება არავითარი მოლაპარაკება იმათთან, ვინც მუშაობას არ შეუდგება“.

გაზეთი „ლუმანიტე“ აცხადებს, რომ „მუქარა ვერ დააშინებს მებრძოლ მშრომელებს. ლანიელი ცდება, თუ მას ამის იმედი აქვს“.

გაზეთების ცნობებით, პრემიერ-მინისტრ ლანიელის მოთხოვნამ — დაუყოვნებლივ განახლდეს მუშაობა — კი არ შეანელა საგაფიცვო ბრძოლა, არამედ, პირიქით, იგი კიდევ უფრო მტაცდ გაფართოვა. დღევანდელი გაზეთების ცნობები ცხადყოფენ, რომ საგაფიცვო ბრძოლა ახალი ძალით გრძელდება. უკვე ორი კვირაა გრძელდება ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა გაფიცვა. პარიზსა და საფრანგეთის დიდ ქალაქებში ყოველდღე იმართება გაფიცულ ფოსტის მუშაკთა მასობრივი კრებები. წინანდელი გაქანებით გრძელდება რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა. დემოკრატიულ წრეებში აღნიშნავენ, რომ უმნიშვნელო რაოდენობის შტრაიკბრეხერთა საშუალებით მთავრობამ მოახერხა ავმუშავებინა დაახლოებით ორი ათეული მატარებელი იმ 15 ათასი მატარებლიდან, რომლებიც ჩვეულებრივ მოძრაობდნენ საფრანგეთის რკინიგზებზე. პარიზის ვაგზლების უმრავლესობა წინანდებურად დახურულია.

დღეს გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი რკინიგზელთა ეროვნული ფედერაციის ახალი მიმართვა „ფორს უვრიერის“, „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“, ფედერაციებისა და ავტონომიური პროფკავშირებისადმი. მიმართვა წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას რკინიგზელების ყველა ფედერაციის წარმომადგენელთა თათბირი მომქედების საერთო პროგრამის შესამუშავებლად.

გაზის ქარხნებისა და ელექტროსადგურების მუშათა საგაფიცვო ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. პარიზის რაიონის ნანტერის, ჟანვილიეს და პარიზის სხვა გარეუბნების გაზის ქარხნები, აგრეთვე ვიტრის, ისი-ლე-მულინოს, ჟანვილიეს, სენ-უენის, სენ-დენისა და ივრის ელექტროსადგურები 15 აგვისტოდან დაკავებულია ჯარებისა და პოლიციის მიერ, რომლებიც ცდილობენ მოაწყონ იქ მუშაობა. გაფიცულთა სპეციალური მორიგე ბრიგადები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უშიშროების სამსახურს, განდევნილი არიან ამ საწარმოებიდან.

გაზის ქარხნებისა და ელექტროსადგურების მუშათა ეროვნულმა ფედერაციამ (შრომის საყოველთაო კონფედერაციამ) განაცხადა, რომ გაფიცულნი თავიდან იხსნიან ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ უბედური შემთხვევებისათვის, რომლებიც შეიძლება მოხდეს გაზის ქარხნებსა და ელექტროსადგურებში.

საგაფიცვო ბრძოლა გრძელდება აგრეთვე შახტებში, განსაკუთრებით ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტებში — საფრანგეთის ქვანახშირის უდიდეს აუზებში.

არ წყდება პარიზის მეტროსა და ავტობუსების მუშაკთა გაფიცვა. როგორც წარსულ დღეებში, მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს საქალაქო მოძრაობას პარიზში სამხედრო სატვირთო მანქანების საშუალებით

ფართოვდება საგაფიცვო მოძრაობა მეტალურგიულ და ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში. გაფიცული არიან პარიზის რაიონის ბევრი უდიდესი საწარმოს მუშები. მარსელისა და დენენის ყველა ლითონდამამუშავებელ საწარმოში, შერბურის, ტარბის, ნანსისა და სხვა ქალაქების ბევრ ქარხანაში გაფიცულია მუშათა ასი პროცენტი.

საგაფიცვო ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საფრანგეთის ბევრი საფეიქრო საწარმოს მუშები. პრესის ცნობებით, რუბე-ტურკუენის რაიონის 40 საფეიქრო ფაბრიკამ გაფიცვის გამო მუშაობა შეწყვიტა.

გრძელდება შერბურის, რენეს, ტარბის, ტულონის, ბრესტის, ლიმოჟისა და სხვა ქალაქების მშენებელ მუშათა და სამხედრო არსენალების მუშათა გაფიცვა. საფრანგეთის 79 უდიდეს ქალაქში, მათ შორის დეპარტამენტების 40 ადმინისტრაციულ ცენტრში გაფიცული არიან კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკები და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოსამსახურეები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 18 აგვისტოს დილის სხდომაზე დაიწყო განხილვა რეკომენდაციისა, რომელსაც შეიცავს შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ—დაზავების ხელმოწერის შემდეგ 90 დღის განმავლობაში გაიმართოს პოლიტიკური კონფერენცია კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის, უცხოეთის ჯარების გაყვანისა და სხვ. შესახებ.

სხდომის გახსნისას კომიტეტის თავმჯდომარემ მუნიზმა იმედი გამოთქვა, რომ კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა „შეიძლება გადაიქცეს ხანგრძლივ მოწესრიგებად მეგობრული თანამშრომლობის ვითარებაში“. მან პოლიტიკურ კომიტეტს მოუწოდა იხმაროს ყოველი ღონისძიება, რათა გადალახულ იქნას მშვიდობიანი მოწესრიგების არსებული დაბრკოლებანი. როგორც ჩანს, დასძინა მუნიზმა, სპარობს ის აზრი, რომ განზრახული კონფერენციის დღის წესრიგის საკითხს გადაწყვეტს თვით კონფერენცია და რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს მისი შემადგენლობის საკითხი.

მუნიზმა წინადადება მისცა კომიტეტს განიხილოს კონფერენციის შემადგენლობის საკითხი და თქვა, რომ უკვე წარმოდგენილია სამი პროექტი და რომ არის აგრეთვე საბჭოთა პროექტი, რომლებიც მალე დაურიგდება დელეგატებს.

შემდეგ გამოსულმა საბჭოთა დელეგატმა ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა წინადადება — ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ამერიკის წარმომადგენელი ლოჯი გამოვიდა საბჭოთა დელეგატის წინადადების წინააღმდეგ. ხანმოკლე განხილვის შემდეგ კომიტეტმა 34 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ (შვიდმა დელეგატმა თავი შეიკავა) უარყო წინადადება მოწვეულ იქნენ ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები. 34 ხმით 14 ხმის წინააღმდეგ (9 დელეგატმა თავი შეიკავა) აგრეთვე უარყოფილ იქნა წინადადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). 18 აგვისტოს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ პოლიტიკურ კომიტეტში კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ შეიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„გენერალური ასამბლეა, საჭიროდ თვლის რა უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკური კონფერენციის წარმატებითი მუშაობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები, რჩევას იძლევა კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენცია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, პოლონეთი, შვეიცია, ბირმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთი კორეა. ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიღებულად ჩაითვლება, თუ არსებობს იმ მხარეთა თანხმობა, რომლებმაც ხელი მოაწერეს დაზავების შესახებ შეთანხმებას“.

ამერიკის მხარე კვლავ არღვევს შეთანხმებას კოორეაში დაზავების შესახებ

სინხუას სააგენტოს ცნობა

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის კესონიდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

ამერიკელები კვლავ უშლიან ხელს წითელი ჯვრის კორეა-ჩინეთის წარმომადგენლებს ინახულონ სამხედრო ტყვეთა ბანაკები სამხრეთ კორეაში.

ცნობილი გახდა, რომ კუნძულ კოჯედოზე არსებული ბანაკების ამერიკელი ხელისუფალნი ხელს უშლიან იმ წერილების დარიგებას, რომლებიც სამხედრო ტყვეებს წითელი ჯვრის კორეა-ჩინეთის წარმომადგენლებმა მიუტანეს. ამერიკელებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ წერილებს არ გადასცემენ სამხედრო ტყვეებს, არამედ პანმუნჯონში გაგზავნიან. ბანაკების ამერიკელმა ხელისუფლებამ არ გაანაწილეს აგრეთვე საჩუქრები, რომლებიც სამხედრო ტყვეებისათვის წითელი ჯვრის კორეა-ჩინეთის წარმომადგენლებმა ჩაიტანეს.

ირანის ამბები

სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ირანელი ხალხისადმი

თეირანი, 18 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „შაჯაათს“ 18 აგვისტოს სტატიაში სათაურით. „სახალხო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მომავალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას მონარქია, გამოცხადდეს რესპუბლიკა, უზრუნველყოფილ იქნას დემოკრატიული თავისუფლებანი, მოისპოს იმპერიალიზმის დასაყრდენი პუნქტები“ მოუყავს სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ირანელი ხალხისადმი.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „სანამ ძირიანად არ მოისპობა მონარქია, — დარჩება ღალატის კერა და იგი წარმოშობს მოღალატეებს... კოლონიზაციის წინააღმდეგ მებრძოლთა სადღეისო ლოზუნგია: ძირს მონარქია, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

მონარქიის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის დამყარების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საყოველთაო სახალხო კენჭისსაყრელად, მოხდეს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, შეიქმნას დამფუძნებელი კრება კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად...

ის, ვინც შეეცდება შეინარჩუნოს მონარქია, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, სარეგენტო საბჭოს შექმნის ანდა გაქცეული შაჰის სხვა დაქირავებული პირით შეცვლის გზით, ღალატობს ჩვენს მოძრაობას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თანამშრომლობს კოლონიზატორებთან... შაჰი — იმპერიალიზმის პირველი აგენტი — გაიქცა მაგრამ კოლონიზატორთა სხვა აგენტები, შეთქმულთა სხვა ბუდეები თავიანთ ადგილებზე რჩებიან. ამიტომ კვლავ არსებობს საფრთხე“

აღნიშნავს რა, რომ „ამერიკელი იმპერიალისტები ინგლისელი იმპერიალისტების მხარდამხარ მონაწილეობდნენ გამცემლურ შეთქმულებაში“, სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს: „საჭიროა გადაჭრით წაერთვათ ამერიკელ დამნაშავეებს შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი გავლენა შეთქმულებათა მოსაწყობად“.

ამ მიზნით, ნათქვამია მიმართვაში, საჭიროა განხორციელდეს ირანელი ხალხის ძველისძველი ლოზუნგები: ირანიდან განიდევნოს ყველა ამერიკელი მრჩეველი, მთელ ირანში ლიკვიდირებულ იქნას „ტრუმენის პროგრამის მე-4 პუნქტის“ განმახორციელებელი ადმინისტრაციის დაწესებულებანი, დაიხუროს ამერიკის საკონსულოები და ამერიკის სხვა ჯაშუშური ბუდეები, გაუქმდეს ყველა კაბალური სამხედრო და პოლიტიკური ხელშეკრულება, ირანიდან განიდევნონ ის უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ერევიან ჩვენი ქვეყნის საქმეებში და არ მიეცეთ მათ ირანში დაბრუნების ნებართვა, ყველა პასუხსაგები სახელმწიფო პოსტიდან მოიხსნან ინგლისის და ამერიკის გამოაააშკარავებული დაქირავებული პირები, სამართალში მიეცენ და დასაჯონ ისინი გამცემლური საქმიანობისათვის.

შემდეგ მიმართვაში ნათქვამია: „საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე უზრუნველყოფილ იქნას მთელ ირანში შემდეგ თავისუფლებათა განხორციელება: უზრუნველყოფილ იქნას პარტიების, დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების თავისუფლება; გაუქმდეს სამხედრო წესები; გაუქმდეს თავისუფლების შემზღუდველი ყველა კანონი; განთავისუფლებულ იქნას ყველა პოლიტიკური პატიმარი; უზრუნველყოფილ იქნას სახალხო პარტიის მოღვაწეობის თავისუფლება, სახალხო პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც ირანელ ხალხს წარმოადგენს და შუა აღმოსავლეთში კოლონიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე საიმედო ბურჯია.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, იმპერიალისტებზე საბოლოო გამარჯვების მისაღწევად პირველი და ძირითადი ნაბიჯია შეიქმნას მთელი ეროვნული, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანი ფრონტი.... იმპერიალიზმი მთელი ხალხის მტერია, ამიტომ მის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის საჭიროა, რომ მოსახლეობის ყველა ფენამ, ე. ი. მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ, ხელოსნებმა, ეროვნულმა კაპიტალისტებმა და ვაჭრებმა, აგრეთვე ყველა პატიოსანმა ელემენტმა, ვინც დაინტერესებულია თავისუფლებით და ეროვნული დამოუკიდებლობით, ხელი გაუწოდონ ერთმანეთს და გაერთიანდნენ ერთიან ფრონტად.

ასეთი ფრონტის შესაქმნელად, ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, სახალხო პარტია თანახმაა გულწრფელად ითანამშრომლოს ყველა პარტიულ ანტიკოლონიზატორულ ორგანიზაციასთან და ცალკე პირებთან“.

ბაღდადიდან გაემგზავრა ირანის შაჰი

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ირანის შაჰი და მისი ცოლი 18 აგვისტოს ბაღდადიდან გაფრინდნენ. თვითმფრინავი, რომლითაც შაჰი მიფრინავს, რომზე გავლით ლონდონს მიდის.

განმათავისუფლებელ სამამულო ომში კორეელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად

ფხენიანი, 18 აგვისტო. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება განმათავისუფლებელ სამამულო ომში კორეელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად მონუმენტის აგების შესახებ. იმ მიზნით, რომ უკვდავყოფილ იქნას გამარჯვება კორეელი ხალხისა, რომელმაც ღირსეულად დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ნათქვამია ბრძანებულებაში, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმი ადგენს — ფხენიანში აგებულ იქნას მონუმენტი განმათავისუფლებელ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად.

გამოქვეყნდა აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩინელ სახალხო მოხალისეთა გმირობის აღსანიშნავად ფხენიანში მონუმენტის აგების შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა მედალი განმათავისუფლებელ სამამულო ომში მონაწილეობისათვის.

მოითხოვენ საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევას

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთები იუწყებიან, რომ ეროვნული კრების ბიუროს მიიღო სხვადასხვა პარტიის დეპუტატების უკვე 215 დეპეშა, რომლითაც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარლამენტის რიგგარეშე სესია. ცნობილია, რომ სესიის მოსაწვევად საკმაოა 209 დეპუტატის მოთხოვნა. „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა პარლამენტის მოწვევა სავალდებულოა.

ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ეროვნული კრების თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ გადაწყვიტა 21 აგვისტოს მოიწვიოს ეროვნული კრების ბიურო კონსტიტუციის მე-12 მუხლის შესაბამისად პარლამენტის სესიის მოწვევის საკითხის განსახილველად.

დანიაში საბჭოთა დიპლომატიურ ელჩად ბატონ ბ. ბ. ბოგომოლოვი

კოპენჰაგენი, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ „ბურმაისტერ ოგ ვაინის“ გემსაშენში საბჭოთა კავშირს გადაეცა დანიასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო შეთანხმების მიხედვით აგებული რეფრიჟერატორი.

16 საათსა და 30 წუთზე დაშვებულ იქნა დანიისა და აღიმართა საბჭოთა ალამი. „ბურმაისტერ ოგ ვაინის“ გემსაშენის დირექტორმა ბარფოდმა და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა დანიაში ამხ. სტეპანოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

შემდეგ გამართულ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის დესპანი დანიაში ბ. ს. ვეტროვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი დანიაში ამხ. სტეპანოვი, „ბურმაისტერ ოგ ვაინის“ ფირმის დირექტორი და გემსაშენის საინჟინერო-ტექნიკური პერსონალისა და მუშების წარმომადგენლები.

სიტყვა წარმოთქვა რა დარბაზობაზე, „ბურმაისტერ ოგ ვაინის“ ფირმის დირექტორმა იმედი გამოთქვა, რომ ფირმა მიიღებს გემების აგების ახალ დაკვეთებს. ერთმა ძველმა მუშამ თავის სიტყვაში მადლობა უძღვნა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს დაკვეთებისათვის, რომლებმაც, მისი სიტყვით, ასობით მშრომელი უზრუნველყო სამუშაოთი.

სამგზავრო ჭარიშების გაძვირება ლონდონში

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 17 აგვისტოდან ლონდონში გადიდებულია ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობის ფასი.

კინოსტუდიაში



ქრონიკები და კინოჟურნალები

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმი“ უშვებს ქრონიკებს და ტექნიკურ-პოპულარულ ჟურნალებს სოფლის მეურნეობის დარგების — მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობისა და სხვა საკითხებზე, აგრეთვე ტექნიკურ ფილმებს. წელს გამოშვებულია 22 კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ და 7 ჟურნალი „ნორჩი თაობა“.

კინოსტუდია ახდენს სხვადასხვა მხატვრული და ტექნიკური კინოსურათების დუბლირებას ქართულ ენაზე. წელს დუბლირებულია სურათები „მაქსიმკა“, „სადკო“, „რევიზორი“, „კომპოზიტორი გლინკა“, „ადმირალი უშაკოვი“, „განუყრელი მეგობრები“ და სხვ.

კინოასლების საამქრო

კინოსტუდიასთან არსებობს ფირის დამმუშავებელი საამქრო, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საამქრო კინოსურათის შექმნის რთულ კომპლექსში ასრულებს ერთ-ერთ ძირითად და უკანასკნელ პროცესს — ამუღავნებს ნეგატივს, ბეჭდავს და ამრავლებს ფილმ-ასლებს. აქ ახლახან აითვისეს ფერადი ფილმების ბეჭდვა და გამრავლება. 6 თვეში გადამუშავებულია 1,5 მილიონი მეტრი ფირი.

• • •

სურათზე: სტუდია „საქართველოს ფილმის“ ფერადი ნეგატივის გამომმჟღავნებელები გ. ალექსიძე (მარცხნივ) და დ. დმეტრაშვილი ფირის დამუშავების საამქროში.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ახალი საცხოვრებელი სახლები

თბილისში მომდინარეობს ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი კოლექტივიზაციის ქუჩაზე. მალე ამ სახლში შეესახლებენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს. უახლოეს დღეებში დამთავრდება 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე. უკანასკნელ სამუშაოებს ასრულებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5-სართულიანი სახლის მშენებლობაზე. ზოოტექნიკური ქუჩისა და უნივერსიტეტის ქუჩის კუთხეში.

სასპორტო მოედანი

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის სამმართველოს მუშათა საცხოვრებელი დაბის ტერიტორიაზე გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი სასპორტო მოედანი.

მოედნის საზეიმო გახსნის შემდეგ აქ გაიმართა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მენავთობე სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ბათუმელი, ისე ბათუმში საწვრთნელად ჩამოსული მოსკოველი და თბილისელი სპორტსმენები.

უგაღდეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დამთავრდა

თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დამთავრდა მისაღები გამოცდები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულია 1.014 ახალგაზრდა. აქედან უგამოცდოდ — 546, როგორც მედალოსანი და ტექნიკუმდამთავრებული ფრიადოსნები. ახალგაზრდებმა შარშანდელთან შედარებით უკეთესი ცოდნა გამოამჟღავნეს — მაღალი აკადემიური შეფასება მიიღეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ფიზიკაში, მათემატიკაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

განსაკუთრებით დიდი იყო ახალგაზრდების ლტოლვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. წელს აქ მისაღებ გამოცდას აბარებდა 2.028 ახალგაზრდა. გამოცდებზე წარმატებას მიაღწიეს მცხეთის, ლაგოდეხის, გორის, ჭიათურის, ხაშურის, ზუგდიდის, ონის და სხვა რაიონების კურსდამთავრებულებმა.

ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხულია 200 კოლმეურნე. მათ შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები: გუდაუთის რაიონის დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. არძინბა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლური გ. გურიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. ჩავლეიშვილი და სხვ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ უმთავრესად რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, მათ შორის ბევრი ინგილო, სვანი, აფხაზი, მესხი. ინსტიტუტში სულ ჩარიცხულია 300 კაცი.

მისაღები გამოცდები დამთავრდა აგრეთვე ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ფეხგურთი

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

18 აგვისტო. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდა მოსკოვის ორი გუნდი „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)

ვილნიუსი, 19 აგვისტო. აქ გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ვილნიუსის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 1:0.

„ზენიტი“ (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)

19 აგვისტო. კუიბიშევში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და ხარკოვის „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს კუიბიშეველებმა 5:0.

საქართველოს თასის გათამაშების ფინალი

17 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს 1953 წლის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში. 250-მდე გუნდიდან დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქუთაისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდმა.

შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი ჯილდო — თასი.

თბილისის ნორჩ დინამოელთა წარმატება

ვორონეჟი, 17 აგვისტო. აქ დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებისათვის. ფინალში იბრძოდა 8 გუნდი. დიდი წარმატება მოიპოვა თბილისის გუნდმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა), რომელიც ყველა შეხვედრა მოიგო. ფინალში თბილისელებმა დაამარცხეს დონის როსტოვის ფეხბურთელთა კოლექტივი და მიიღეს გარდამავალი ჯილდო — თასი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი აცხადებს 1953-54 სასწავლო წელს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხიდები (წარმოებისაგან მოწყვეტით),
2. გვირაბები (წარმოებისაგან მოწყვეტით),

ასპირანტურაში მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 40 წლის ასაკისა, რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება ამორჩეული სპეციალობის გაანრთით და მეცნიერულ-პედაგოგიური ან საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალობის მიხედვით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის უფროსის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს (ორ ეგზემპლარად): 1) ნოტარიუსის მიერ შემოწმებული პირი დიპლომისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ; 2) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათებით (ზომა 6×9), 3) ავტობიოგრაფია, 4) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 5) დოკუმენტი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 6) დახასიათება უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან, 7) დაბეჭდილი შრომების სია.

ასპირანტურაში ყველა შემსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით.

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 სექტემბრამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 98, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ასპირანტურის განყოფილება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატი თავის ფილიალებსა და სასწავლო პუნქტებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სუხუმი, თელავი, სილნაღი, სტალინირი, გორი, ფოთი და მახარაძე) საწარმოდაწესებულებებთან ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მოანგარიშეების, ბუხჰალტრების და უფროსი ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

იხსნება სამეურნეო მუშაკთა ეკონომიური კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური სემინარები. საწარმო-დაწესებულებებთან იხსნება აგრეთვე აღრიცხვის ჟურნალურ-ორდერული ფორმის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები.

მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მოსამზადებელ კურსებზე მსურველნი მიიღებიან ინდივიდუალური წესითაც.

ხელშეკრულებათა დადება და